



12545/3-66/21 2 24122021

12545/3-66/21

24-12-2021

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

მოგესალმებით,


საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია:


- რამდენი მაძიებელი მასწავლებელია დასაქმებული ამჟამად შესაბამისად, საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.
- სკოლაში დასაქმებული მაძიებელი მასწავლებლებიდან რამდენი სწავლობს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაზე და რამდენი გადის მასწავლებლის სახლის შემოთავაზებულ დისტანციურ კურსს, ამ უკანასკნელთაგან რამდენს აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია? გთხოვთ დაახარისხოთ მოცემული ინფორმაცია საჯარო/კერძო სკოლების შესაბამისად.
- მასწავლებელთა მაძიებლობის პროგრამის დაწყებიდან დღემდე, რამდენმა მაძიებელმა მასწავლებელმა გაიარა დისტანციური კურსი წარმატებით, მაგრამ ჯერ არ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია?

- საგნის ან საგნობრივი ჯგუფის მინიმუმ ბაკალავრის ხარისხის მქონე რამდენი მასწავლებლობის მსურველი გავიდა საგნის გამოცდაზე, რამდენმა ჩააბარა წარმატებით, რამდენმა გააგრძელა სწავლა 60 კრედიტიან პროგრამაზე და არაა დასაქმებული საჯარო/კერძო სკოლაში დღევანდელი მდგომარეობით.
- მასწავლებელთა მაძიებლობის პროგრამის დაწყებიდან დღემდე, რამდენმა მაძიებელმა მასწავლებელმა მოიპოვა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, შესაბამისად, მასწავლებლის მომზადების პროგრამის გავლის და საგნის გამოცდის; დისტანციური კურსისა და საგნის გამოცდის ჩაბარებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ვახტანგი მეგრელიშვილი





საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
MINISTER OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA



25/01/2022



MES 9 22 0000066071

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ ვახტანგ მეგრელიძეს

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2021 წლის 24 დეკემბრის N12545/3-66/21 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N1416464; 27.12.2021) პასუხად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გაცნობებთ, რომ მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა არის სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული პროგრამა, რომელიც საჯარო ან კერძო სკოლაში მასწავლებლის სტატუსით დასაქმებულმა პირმა უნდა გაიაროს მუშაობის დაწყებიდან ორი წლის განმავლობაში, მასწავლებლის განათლებისათვის დადგენილი შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა ამოქმედდა 2019 წლის 16 აგვისტოდან. მასწავლებლობის მაძიებლობის საკითხი დარეგულირებულია "მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის წესისა და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ნიმუშისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 16 აგვისტოს №169/ნ ბრძანებით.

• 2022 წლის 14 იანვრის მდგომარეობით საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯამში დასაქმებულია (საგაკვეთილო დატვირთვა გააჩნია) 768 მასწავლებლობის მაძიებელი პირი, საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში - 461, ხოლო კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში - 307.

• 2022 წლის 14 იანვრის მდგომარეობით, საჯარო სკოლებში დასაქმებული მაძიებელი მასწავლებლებიდან 54 პირი, ხოლო კერძო სკოლებში დასაქმებული მაძიებელი მასწავლებლებიდან 45 - სწავლობს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაზე. სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებულ მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამას გადის 768 მასწავლებლობის მაძიებელი პირი; ამათგან 461 პირი დასაქმებულია საჯარო სკოლაში, ხოლო 307 პირი დასაქმებულია კერძო სკოლაში. საჯარო სკოლაში დასაქმებული მასწავლებლობის

მაძიებლებიდან საგნის კომპეტენცია დადასტურებული აქვს 193-ს, ხოლო კერძო სკოლაში დასაქმებულებიდან - 178 მასწავლებლობის მაძიებელ პირს.

• მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამაში შემავალი აკადემიური და პედაგოგიური პრაქტიკის კურსი დაძლია 190-მა მასწავლებელმა, რომლებსაც ჯერ არ დაუდასტურებიათ საგნობრივი კომპეტენცია, თუმცა მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამის ფარგლებში საჯარო ან კერძო სკოლაში მასწავლებლის სტატუსით დასაქმებულ პირს შესაძლებლობა აქვს მუშაობის დაწყებიდან ორი წლის განმავლობაში დააკმაყოფილოს მასწავლებლის განათლებისთვის დადგენილი შესაბამისი მოთხოვნები.

• მასწავლებლობის მსურველთა საგნის გამოცდაზე რეგისტრაციისას კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულება არ გვაქვს, შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დაცული არ არის.

• პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა წარმატებით დაძლია 852-მა მასწავლებლობის მაძიებელმა პირმა, რომელთაც მიენიჭათ უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი

